№ 83
კვირა, 18 აპრილი, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 83
კვირა, 18 აპრილი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე აღსდგა!

შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 22 აპრილს.

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის საზოგადო კრება დანიშნულია 9 **მაისს** ამა 1899 წლისას, შუადღის 12 საათზედ, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში 1897 და 1898 წლისა.
2) არჩევანი მმართველობის წევრებისა.
3) არჩევანი სარედაქციო კომისიის წევრებისა.
4) მიმდინარე საქმეები.
5) განაწილება დივიდენდისა.

ამხანაგობის მმართველი
(3—6.—1) მ. ზადრიძე.

ფოთის სამარხ კასსის გამგეობა აუწყებს წევრებს, რომ კვირას, 2 მაისს, 1899 წელს, დილის 11 საათზედ, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება საზოგადო კრება კასსის წევრთა. ეს კრება მეორედ არის დანიშნული, პირველ, 11 აპრილს არ-შემდგარ კრების ნაცვლად. (1—6.—1)

ჩვეულებრივი წლიური კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა დანიშნულია 21 აპრილს, ოთხშაბათს, დილის თერთმეტ საათზე, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) დამტკიცება 1898 წლის ამხანაგობის წლიურის ანგარიშისა; 2) მიღება მთავრობის სანიმუშო წესდების თანაბრად შემუშავებულ ახალის წესდებისა; 3) არჩევა ამხანაგობის მდივნისა; 4) ნებართვა ამხანაგობის მმართველისადმი ამხანაგობის ალებ-მიცემობისათვის საჭირო სესხის აღებისათვის და 5) მოხსენება ამხანაგობის მმართველისა, თუ როგორ დაუახლოვდეს უფრო მეტად ამხანაგობა ერთის მხრით ჩვენებურ მეაბრეშუმეებს და მეორეს—საზღვარგარეთელ მუშტრებს. (10—6.—9)

აღდგომა დღეს სადარბაზოდ სიარულის ნაცვლად ფულად წარმოგზავნეს „ივერიის“ რედაქციაში დასაარსებლად განზრახულ დედათა ქართულ სასწავლებლის სასარგებლოდ:

მკურნალმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ და ანასტასია კონსტანტინეს ასულმა გედევანიშვილებმა— 3 მან.

მკურნალმა ლუკა ანტონის ძემ ჯავახიშვილმა—5 მან.

◆◆

მთავრობის განკარგულებანი.

ებოძა სამსახურის წელთა შესრულებისა გამო გუბერნსკი სეკრეტრობა შუშის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელეს თარხნიშვილს.

დანიშნულ იქმნა კავკასიის გრენადერთა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის საარტილერიო ბრიგადის კაპიტანი მდივანი— კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის ადიუტანტის თანაშემწედ.

გალაქტიონ ქავთარაძე—ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის კანცელარიის მოხელედ.

◆◆

ტფილისი, 17 აპრილი

ქრისტე აღსდგა! აღსდგა იგი და დღეს მთელი ქრისტიანი კაცობრიობა, დიდი და მცირე, აღფრთოვანებულის გულით ჰგალობს და სიხარულით ჰღაღადებს: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი“. მხიარულის გულითა და სასოებაღვსილის სულით იხსენიებს მთელი კაცობრიობა და მასთან ყოველი ქართველი აღდგომას მადლისა, სიყვარულისა და გაჭირვებულთა, დავრდომილთა, ღარიბთა, ქვრივთა და ობოლთა განკითხვის ღმერთისას, რომელმაც შემუსრა ძველის აღთქმის: „კბილი კბილისა წილ და თვალი თვალისა წილ“ და ხელთ მოგვცა ცხოვრების გზა-კვალის მანათობელ ლამპრად ახალი მცნება: „შეიყვარე მოყვასი შენი ვითარცა თავი თვისიო!“

ამ ცხრამეტის საუკუნის წინად გაისმა ეს დიდებული სიტყვები მოყვასთა სიყვარულისა, ყოველთა ძმობისა და ერთობისა, კაცთ-მოყვარეობისა, შენდობისა და მიტევებისა, ძმათათვის თავ-დადებისა, გაისმა იგი ჩვენთვის ტანჯულ იესოს ღვთიურ ბაგეთაგან, მაგრამ დღესაც, ამ ცხრამეტის საუკუნის შემდეგ, აბა ჩავიხედოთ თითოეულმა ჩვენგანმა, ამ დღესასწაულთა დღესასწაულის დღეს სიხარულისა და აღტაცების საერთო ფერხულში ჩაბმულმა, ჩვენის გულის სიღრმეში და დავინახავთ, რომ ქრისტეს მართლ-მორწმუნე, მისთა მცნებათა აღმასრულებელი არა ვართ... სადაა მოყვასთა სიყვარული, ძმობისა და ერთობის საქმედ ქცეული სურვილი, გრძნობა შენდობისა და მიტევებისა, ძმათათვის თავ-დადებისა, ღარიბთა და ჩაგრულთა განკითხვისა?.. განა დღესაც ისევე მართალი არ არის პოეტის სიტყვები:

„გული კაცისა კრულია,
ხარბი და გაუძღომელი“!

დიაღ, იგი კრულია, ხარბი, გაუძღომელი და ჯერ კიდევ ბევრი საუკუნე გაივლის, ჯერ კიდევ ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, ვიდრე ადამიანი, შექმნილი ღვთის მსგავსებადა და ხატებად, მართლა დაემსგავსება თავისს შემქმნელს, სპეტაკის სინიდისით მიეგებება დღევანდელს დიდებულს, სასიხარულო დღესასწაულს, დღესასწაულს, დაწესებულს კაცთა მხსნელის მკვდრეთით აღდგომის სახსოვრად, ჩაიხედავს გულის სიღრმეში და იტყვის: „ჭეშმარიტად ჩემი ცხოვრება ღირსია ამ დღესასწაულს სიხარულით მივეგებო, ჭეშმარიტად ამ წელიწადს არა დამირღვევია არცა თუ ერთი მცნება მაცხოვრისა ჩემისა, არა მითქმოდა გული სიკეთისათვის მოყვასისა ჩემისა, არამედ მიყვარდა იგი და, ჩემის ყოვლად შემწყნარებელ ღმერთის ანდერძისამებრ, სიმშილი, წყურვილი, სნეულება, სიშიშვლე მისი მიმაჩნდა ჩემ საკუთარ სიმშილად, წყურვილად, სნეულებად და სიშიშვლედ, ნუგეშ-მცემელი ვიყავი უნუგეშოთა, განვუსვენებდი ტვირთ-მძიმეთა და გული ჩემი სადგური იყო შეწყნარებისა, სიბრალულისა და მიტევებისაო“.....

აღსდგა ქრისტე, ხოლო „ვინა აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა, სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას“?..

„სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად
და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით...
ვინცა ამ სოფლის დიდებასა, მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მიჰსდევს, ჰსცნობს რა მისს შუქს ფუჭ-წარმავალსა;
ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე
და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა!..
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთ.სა წმიდასა
ღვთისა დიდების გალობითა ნათელ-მოსილი!..

ფარნაოზი

◆◆

მრუში დედაკაცი

(სახ. იოანნესი, თავი 8, 4—11)

...და რქვეს მას: „მოძღვარ! ეს დედაკაცი
დავიპყართ ცხადად იქმდა მრუშებას
და, მოსეს ჰსჯულით, უნდა ჩავქოლოთ...
შენ რაღას ეტყვი მწიგნობართ კრებას?!“
ფარისეველთა ამ ვერაგს სიტყვებს
იგი დუმილით, ჰმუნვით ისმენდა
და თავ-დახრილი თითით ღვთიურით
დედამიწაზედ რაღაცას სწერდა.
ზე აღემართა და რქვა მან ბოლოს:
„ვინც რომ თქვენგანი არს უცოდველი,
პირველად მაგას ქვა მან ესროლოს!“
და ისევ წერას მიჰყო თვით ხელი...
მათ, შერცხვენილთა, ვერა გაუძლეს
სვინიდისისა თვისის მხილებას
და თითო-თითოდ თავ-ჩაღუნულნი
განშორდნენ იმა მრუშსა ქმნილებას.
კვლავ აიხედა, ვერვინ იხილა,
გარნა სჰრეტდა-ლა მარტოდ შთენილსა,
მის შორის მდგარსა ცოდვილს არსებას,
თავ-ქვე დახრილსა და შერცხვენილსა,
და მადლიანის თვისის ბაგითა
მაცხოვარ-მხსნელმა დედაკაცს ჰკითხა:
„სადა არიან შენნი მსაჯულნი?
არვინ დაგსაჯა, არ განგიკითხა?“
—„არვინ, უფალო!“ რქვა დედაკაცმა
და თავი უფრო დაბლა დაჰხარა.
—„არცა მე დაგსჯი“, უთხრა იესომ:
„წარვედ, ამიერ სცოდავ ნურღარა!..“

ა. ახნაზაროვი

◆◆

შეჩვენებული

(ესკიზი)

...და თქვენცა წმიდა ხართ, არამედ არა ყოველნი. (იოანე XIII, 10)

I

ღამე იყო... შავბნელად მოპირქუშებული ცა წარბ-შეკრული გადმოსცქეროდა ურიასტანის მიძინებულ არე-მარესა. ერთი ვარსკვლავი რა არის, ერთი ვარსკვლავიც-კი არ მოსჩანდა ცის გუმბათზე. ირგვლივ უკუნეთი გამეფებულიყო და გულ-ჩათხრობილ ქვეყანას შავი სუდარა წამოესხა დამაშვრალ მხრებზე. სულიერის ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა, მხოლოდ რომელიღაც მიყრუვებულ ხევში ჭოტი გაჰკიოდა და სიქემის მთებიდგან წამონაბერი სიო დრო გამოშვებით დაარღვევდა ხოლმე სიჩუმესა, მაგრამ მცირეოდენის ფარფატის შემდეგ ეს სიოც სადღაც იმალებოდა. საიდუმლოებით იყო მოცული მთელი მიდამო და დღისით მობობოქრე იერუსალიმს მშვიდად მისძინებოდა მთის კალთებზედ.

აი, ამ უკუნეთს ღამეში, ზეთისხილის მთის ერთს ღელეში, რაღაც შავი აჩრდილი ფოთიალობდა. ვეებერთელა ლოდებ შორის აჩრდილი იგი ფეხ-აკრებით მიმოვიდოდა და თვალს არ აშორებდა ერთ ვიწრო ბილიკს, რომელიც იურუსალიმიდგან ამოსდევდა... შუაღამე მოახლოვდა, აღმოსავლეთს მთვარის მკრთალი შუქი შემოეპარა, აცივდა კიდეც, მაგრამ აჩრდილი ისევ ლოდებ შუა დაყიალებდა.

— იუდა, აქა ხარ? უეცრად მოისმა ერთის ლოდის იქიდგან ვიღაცას ხრინწიანი ხმა. აჩრდილი შეკრთა, ხმის ამოღება ველარ მოახერხა.

— აი, ღმერთმა დაგწყევლოს შენცა და შენგან დანიშნული ადგილიც; მუხლები სულ დავიმტვრიე ამ ლოდებზე სიარულითა. გაჯავრებით წამოიძახა ახლად მოსულმა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო. იუდას ეძებდა, იუდა-კი იქვე ერთ ლოდს მიჰყრდნობოდა და თვალებს საშინლად აპრიალებდა.

— ე, თქვენ რაღა იქენით, ჯოჯოხეთის შვილნო?! გადასძახა დაბლობში უცნობმა.

— აქა ვართ, აქა! ბანი მისცეს ქვემოდგან.

— მეც აქა ვარ! ძლივ-ძლიობით ამოიკვნესა იუდამ და წინ წამოდგა.

— ძლივს არ გიპოვე, შე კაი კაცო! გეფიცები სოლომონის ტაძარს, კინაღამ მოღალატედ ჩაგთვალე. ასე მეგონა მოგვატყუა მეთქი. დაუმდაბლა ხმას ახლად-მოსულმა.

— მე... მოღალატე... არა, ბატონო მწიგნობარო... ყოველთვის მიგულვებდეთ თქვენ ერთგულ მონად...

— ჰო-და კიდეც იმიტომ მოგიტანე დანაპირები. მღვდელთ-მთავარიც დიდი მადლობელია შენი და იეგოვას ლოცვა-კურთხევას გიგზავნის, ტკბილის ხმით, ნამდვილის ფარისევლურის კილოთი, ჩამოართვა სიტყვა იუდას და ფულით სავსე პარკს ჩხრიალი დააწყებინა.

იუდა კანკალმა აიტანა.

— რას გაჩუმებულხარ, აჰა, ისკარიოტელო, შენი სასყიდელი.

— რამდენია? ყრუთ დაეკითხა იუდა.

— რამდენი უნდა იყოს, გარიგებაზედ არ არის?... ოც-და-ათი ვერცხლია.

— ოც-და-ათი?!. მერე ოც-და-ათ ვერცხლად...

— ხმა, კრინტი! შეუყვირა უგზო-უკვლო სიარულით გულ-მოსულმა მწიგნობარმა. რაღა დროს ყოყმანია. წამოგვყე, დაგვაჭერინე, თორემ თუ ამაღამაც ხელიდგან წაგვივიდა, ვაი შენს დღეს! კბილების ღრჭენით გააწყვეტინა ფარისეველმა და დაუმატა: აქვე შორი ახლოს მღვდელთ-მთავრის ჯარის კაცნი გვიცდიან, წა, წამოდი. აჰა შენი სასყიდელიც... კვლავ გაუმეორა ფარისეველმა.

იუდამ ერთი მაგრად ამოიოხრა და ფულის ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა. სწორედ ამ დროს მთვარემ ჩამოიხედა იმ ღელეში და გამცემელთ თვალებში ჩაანათა. თითქოს ერთმანეთისა შერცხვათო, მწიგნობარი და იუდა გაშეშებულნი დარჩნენ. იუდა ადგა ხელ-გაშვერილი და ფარისეველი-კი სარტყლიდგან ფულის ქისას იხსნიდა. იქვე, დაბლობში, გამოჩნდა რამდენიმე ჯარის კაცი და მათი აჩრდილი ლოდებზედ მოჩვენებასავით აიმართა. იუდამ ძალა-უნებურად გადახედა ამ ჯარის-კაცთ, მერე ღიმილით შეჰხედა მწიგნობარსა და რაღაცა წაილუღლუღა; გაიღიმა მწიგნობარმაც, და ამ ღიმილში მთელი თავისი ფარისევლური სულის კვეთება აღნიშნა. არც იუდას ღიმილი იყო, ღიმილი დამშვიდებულის ადამიანისა. იგი შეშლილივით უფრო იღრიჭებოდა. დიდრონ, ამღვრეულ თვალებს ხარივით ატრიალებდა, გულ-მკერდი მოუსვენრად უღელავდა და მთელი მისი არსება ჰტოკავდა, ცახცახებდა. სახეზედ გამცემლის ალ-მური ასდიოდა, თმა-წვერი აბურძგნოდა, გრძელი, შავი წამოსასხამი ცალი მხრიდგან ჩამოვარდნოდა და მარცხენა ხელით და იმაგრებდა. ახმახი, უზარ-მაზარი ტანისა იყო იუდა ისკარიოტელი და შავად ალანძული გორასავით აჰყუდებოდა პატარა, ციდის სიგრძე ფარისეველს, რომელიც განიერ წამოსასხამშივე გამოხვეული და თავზედ დოლბანდ-შემოკრული შუბლ-ქვეშიდგან ეშმაკურად გამოიყურებოდა. ერთი მუჭა თითონ იყო ეს სიკვდილის ელჩი და სამი მუჭა წვერი ჰქონდა, მაგრამ მის მძივის ოდენა თვალებში ქვეყნის ტოლა სივერაგე გამოჰკრთოდა. ფარისეველი და იუდა, ვერაგობა და ცბიერება, ღალატი და მლიქვნელობა პირის-პირ შეყრილიყვნენ და, თითქოს ერთმანეთის ტრფობით ენა დაებათო, ხმის ამოღებას ვერც ერთი ვერ ახერხებდა.

ბოლოს ისევ ფარისეველმა დაარღვია სიჩუმე:

— აჰა, და გაგვიძეღ კიდეც! ყრუთ უთხრა ფარისეველმა იუდას და ფულის ქისა გაუწოდა.

იუდამ უსიტყვოდ ჩამოართვა ქისა, ქამარში დაიმაგრა და ანგარიშ მიუცემლად გაიღიმა.

— მოვიდა შენი აღსასრულის დღე, მეოცნებე ნაზარეველო! გველურის კილოთი წამოიძახა იუდამ და აჩქარებით გასწია გეთსიმანის ბაღისაკენ. მას უკან გამოუდგნენ ფარისეველი და ჯარის-კაცნი. შეჩვენებული იუდა დაბარებულსავით, მიეშურებოდა, ხოლო ამ გამცემლობის მნახველი მთვარე დაღონებული მისრიალებდა ცის კამარაზედ.

—

— ვაჰ თქვენდა, მოღალატენო და გამცემელნო! გაბრაზებით დაისისინა მთიდგან წამოქროლილმა ნიავმაც, თვალის დახამხამებაზედ შემოირბინა არემარეს, გამცემლებს თავ-პირში მტვერი მიაყარა და გეთსიმანის ბაღში შეიჭრა. აქ, ზეთის ხილის ბუჩქებ ქვეშ, უზრუნველად ეძინათ იესოს მოწაფეებს. მეთევზეობაში ქირ-ნახულთ და იესოს მოძღვრებით განსპეტაკებულთ ამ ქვეყნისა აღარა ესმოდათ-რა. მათი ოცნება ცაში დანავარდობდა და გულ-უბრყვილოდ სასუფეველი—სულის სიმშვიდე—უკვე მოეპოვებინათ. არ იცოდნენ და ვერც წარმოიდგენდნენ რა განსაცდელი მოელოდა იმათ ღვთაებრივ მოძღვარსა... ეძინათ ტკბილად. არ ეძინა, მხოლოდ იესოს, იგი განშორებოდა მათ „ვითარ ქვის სტყორცებელ ოდენ“ და მუხლთ-მოდრეკილი სასოებით ლოცულობდა.

— „და იტყოდა: მამაო! უკეთუ გნებავს თანა წარსლუად სასუმელი ესე ჩემგან! ხოლო ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ“ *), ასე ევედრებოდა იესო თავისს მომავლინებელს და მწუხარების ოფლში სცურავდა... ძალნი ციურნი ყურს უგდებდნენ მის წმინდა ლოცვას და ხეებ შორის ჩამომდგარი სხივები მთვარისა შარავანდედად შემორტყმოდა იესოს ღმობიერებით სავსე სახეს. გრძელი, თაფლის ფერი თმა მხრებზედ გადაჰფენოდა, ბადალი ღვთაებრივი შუბლი დანაოჭებოდა და სასოებად ქცეული განშორებოდა თავისს კაცობრიულ ბუნებას. იგი სულით ღმერთთან იყო. სტიროდა და სწუხდა ადამიანთა სივერაგისა გამო და ტანჯვის მომლოდინე—უკანასკნელად ავედრებდა ქვეყანას, კაცთა შორის ძმობა-ერთობისა და სათნოების დამყარებას შესთხოვდა შემოქმედსა. მაგრამ... ძრიელთა ამა სოფლისათა იგი მაინც შავნებელად ჩასთვალეს და, აჰა, იუდამაც ჯალათები თავზედ დააყენა!..

ის-ის იყო იესომ მესამედ გააღვიძა თავისი მოწაფენი და სთხოვა, „იფხიზლეთ, რამეთუ მოახლოვებულ არს ჟამი იგიო“, რომ უცბად შემოერტყნენ გარს მღვდელთ-მთავრის მიერ გაგზავნილი ჯარის-კაცნი. ყველაზედ უმალ იუდა მიუახლოვდა თავისს ყოფილ მასწავლებელს, გადაჰკოცნა და გესლიანად მიაძახა:

— გიხაროდენ, იესო ნაზარეველო!

— იუდა, შენა?!. ხომ აღასრულე შენი გულის ნადები, რისთვის და დამცინი! დაწყევლილ იყოს მაგისთანა ამბორი!.. ხმა-დაბლათ ჩასჩურჩულა იესომ იუდას და საყვედურის თვალით შეხედა. ლახვარივით მოხვდა იუდას ეს სიტყვები, გული გაუპო იესოს შეხედვამაც, სისხლი თავში აუვარდა და მხოლოდ ახლა იგრძნო სიდიადე თავისის დანაშაულისა. ვეღარ გაუძლო იესოს თვალების გამომეტყველებას. ელდა ნაცემი უკან გამობრუნდა და ვიდრე ჯარის-კაცნი იესოს შეჰბოჭავდნენ, იგი უგზო უკვლოდ თავ ქვე დაეშვა...

II

შუა ღამე გადასული იყო, როდესაც კაიაფა მღვდელთ-მთავრის ეზოში ხალხის ხმაურობა და მისვლა-მოსვლა შეიქმნა. აზლავდნენ, აბობოქრდნენ იერუსალიმის ფარისევლნი—იესო ხელთ მოიგდეს და ახლა მის დასატანჯავად ემზადებოდნენ. კაიაფას ეზო ხალხით გაიჭედა. თვით კაიაფა ბრწყინვალე სახით გადმომდგარიყო აივანზედ და სხვა თავისს ხელქვეით ფარისევლებს საბჭოდ უხმობდა. მალე ყველანი შეიკრიბნენ და სჯა-ბაასი გაჰმართეს. შუაში ჩაისვეს მღვდელთ-მთავარი, დანარჩენნი ღირსებისამებრ ჩამოირიგდნენ და ფარისევლებმა ფარისევლური ლაპარაკი გააბეს. სიტყვით ვერ გამოიხატება ის მლიქვნელობა და ცბიერება, რომელიც მათ შორის ჰსუფევდა. მოწიწებითა და მორიდებით შესცქეროდა უმცროსი უმფროსს, მზადაც იყვნენ ერთმანეთისათვის ფეხები აელოკნათ, მაგრამ ამავე დროს ყველას გული შხამითა ჰქონდა სავსე და ერთმანეთის ღირსება-წარმატება შურსა ჰგვრიდა. მსჯელობდნენ საქვეყნო საქმეზედ, უნდოდათ მოსეს სჯულის ვითომდა უარის მყოფელი იესო დიესაჯათ, მაგრამ გულში-კი ყველას თვისი ქვენაგრძნობის დაკმაყოფილება ედო, პირადად, გარეგნობით „სიმართლეს“ ემსახურებოდნენ, მაგრამ გულში-კი თითოეული თავისს ამაღლებას სცდილობდა. პირში ყველა ერთმანეთს აქებდა, ღმობიერებისა და მორჩილების ცრემლს აფრქვევდა, ზოგი მათგანი თვალის გასწორებასაც-კი ვერ უბედავდა თავისს უმფროსს და მოწიწებით განზედ იწევდა, რომ ტანისამოსითაც-კი არ შეჰხებოდა და მით თავისი უქვეშევრდომილესი გრძნობა დაემტკიცებინა, მაგრამ გულში-კი ერთ-ურთს უდიერად, უკმეხად იხსენიებდნენ და ყოველ წუთსა და ჟამს მზად იყვნენ ერთმანეთისათვის სამარე გაეთხარათ. ფარისევლობა!.. ეს ხომ შეგინებაა ჭეშმარიტებისა, ეს ხომ ჯოჯოხეთია, ბორკილია თავისუფლებისა, მაგრამ ვაი ის არის, რომ ხშირად ნიღაბ-ჩამოფარებული დაიარება.

დაღვრემილ-დაძმარებულნი, ყვავებივით ჩამორიგებულიყვნენ იესოს მსაჯულნი და სწუხარებით გულში ხელს იცემდნენ, ოხრავდნენ და დრო-გამოშვებით ზეცისკენ აღაპყრობდნენ ხოლმე თვალებს. სწუხდნენ ურიასტანის დაცემას, მოსეს სახელის შეგინებას, ან კი როგორ მოითმენდნენ ვიღაც ნაზარეველი „მეუფე ურიათაო“ ირქმევდა, როდესაც ფარისევლნი უნდა ყოფილიყვნენ ხალხის მეუფენიც, მათი პატრონნიც, მათი ბატონნიც და ღვთის წინაშე შუამდგომელნიც. განა დაუთმობდნენ ვისმეს ამ ბატონობასა?.. რად სდევნიდა კაიაფა სიმართლის მქადაგებელს? იმიტომ-რომ გაუმაძღარს საუკუნოდ უნდოდა მღვდელთ-მთავრობა. რისთვის ექცეოდნენ მოწიწებითა და მორიდებით, რისთვის ინადგურებდნენ თავისს პირადობის, ადამიანურ ღირსებას წვრილმანი ფარისევლები კაიაფას წინაშე? იმიტომ, რომ იგინიც მონაწილენი იყვნენ კაიაფას უსჯულოებისა, იმიტომ რომ იმათაც მაღლა აცოცება უნდოდათ. თვალს რათ უხვევდნენ ბრბოს ეს უბადრუკნი? იმიტომ, რომ იგინი წურბელასავით დასხდომოდნენ ხალხს კისერზედ და თავისის თვალთ მაქცობით სხვის უბედურებაზედ თავისი ბედნიერება აეშენებინათ: „გული კრულია“ გამხეცებულის ადამიანისა და მაშინაც საზიზღარ ფარისევლებს გული, სათნოების მაგიერ, გველბაყაყებითა ჰქონდათ სავსე. და აბა რაში იამებოდათ იესოს ქადაგება, ერთა შორის ძმობა-ერთობის შესახებ. ღაღადისი. და აკი, დღეს, კაიაფა და მისი ამქარი ძე—კაცისას ასამართლებდა. ცბიერნი ჭეშმარიტების მღაღადებელს ხმას უწყვეტდნენ, სხვის ოფლით გამაძღარი, უზნეო ფარისევლობა თავისს ვერანა მუცლისა და ფუჭე დიდებისათვის ცით მოვლენილ წმიდა არსებას ჩაქოლვას უპირებდა! ნეტა თან მაინც გადაჰყოლოდნენ ეს ფარისევლები თავისს უწმიდურ გულის თქმასა, მაგრამ... ეშმაკს რაი მოჰკლავს?..

დაიღალნენ ლაქლაქითა და ყბედობით ფარისეველნი, თუმცა წინდაწინვე ჰქონდათ გადაწყვეტილი იესოს ბედი და ყველანი კაიაფას მიაჩერდნენ. წარბ შეკრული კაიაფა-კი სამარესავით სდუმდა და წვერებს არხევდა. იგი ჰლოცულობდა. სხვებმაც ლოცვა დაიწყეს და ხმა მაღლა მოსთქვავდნენ თავისს ვაჟკაცობასა—ღვთის მიმართ პატივის ცემა-მორჩილებასა. ბოლოს კაიაფამ წამოიძახა.

— რაო, რას ამბობს ის საბრალო ნაზარეველი. მე ვარ მეუფე ურიათაო?

— დიახ, მეუფე ვარ ურიათაო, ასე მოგახსენებს! გულზედ ხელის დადებითა და დაბლა თავის დაკვრით უთხრეს ფარისევლებმა.

კაიაფამ წარბი უფრო შეიკრა, რამდენჯერმე გულში ხელი ჩაიბრაგუნა, წამოსასხამი გაჯავრებით მხრებიდგან მოიხსნა და წამოიძახა.

— არა გვივის ჩვენ მეუფე, გარნა კეისარი! ჯვარს ვაცვათ, ჯვარს ღვთისა და კეისრის მოღალატე.

— ჯვარს ვაცვათ! შესძახეს ფარისევლებმაც.

— ჯვარს ვაცვათ! ბანი მოსცა ეზოდგან ერთმა ასის თავდაგანმა და მერე სათითაოდ ყველამ ესევე გაიმეორა. სწორეთ ამ დროს შემოიყვანეს იესო კაიაფას ეზოში. გაფითრებული წარსდგა იგი მღვდელთ-მთავრის წინაშე და ხმა ამოუღებლად იტანდა ყოველგვარ შეურაცხყოფას, მაგრამ აბა რაღა დაიხსნიდა იესოს ფარისეველთა შურის-ძიებისაგან!..

III

ტანჯვა-წვალებით მიათრევდა იესო წამების ჯვარსა და გვემისაგან ძალა მიხდილი მალ-მალე იჩოქებდა. გავერაგებული ბრბო თითოეულ მის კვნესას სიცილ ხარხარს აყრიდა, ხოლო ჯარის-კაცნი-კი მუჯლუგუნებსა სცემდნენ. შესწუხდა, დაუძლურდა იესო და ჯვარი ვეღარა ჰზიდა. იგი ღონე მიხდილი მიესვენა ერთ ლოდს და ნაღვლიანათ გადმოჰხედა აზღვავებულ ბრბოსა. მის გარშემო ყველა გამხეცებულიყო: ფარისევლები ლანძღავდნენ, ჯარის-კაცნი ცემას უპირებდნენ, ჯალათნი ჩაქუჩსა და ლურსმნებს აჩვენებდნენ. შორიახლოს იესომ თვალი მოჰკრა თავისს მოწაფეებსაც. ჯგუფ ჯგუფად დაყოფილნი და დაღონებულნი მოწაფენი ერთმანეთს ვერ ეკარებოდნენ. შიში და სასოწარკვეთილება აღბეჭდოდათ სახეზედ; იდგნენ თავ-ჩაღუნულნი და იესოსთვის ვეღარ შეეხედნათ. უყურა, უყურა იესომ და მოაგონდა „საიდუმლო სერობა“, ის დრო, როდესაც მოწაფენი ერთგულებას ეფიცებოდნენ. სად იყო, სად ეს ერთგულება? მაგრამ ანკი რას იზავდნენ? სული ტკბილია და უმცირესობა ყოველთვის უმრავლესობის ყურმოჭრილი მონაა!

— გასწიე! დასძახეს ჯალათებმა, როდესაც იესომ თვალნი ზეცას მიაპყრო და მოწაფეთა განმხნევება შესთხოვა ღმერთსა.

იესომ კვნესით წამოიწია და გაუდგა გზას. სწორეთ ამ დროს შემოესმა თავისი დედის ტირილის ხმა. იგი ჩამდგარიყო სხვა იერუსალიმელ დედათა შორის და თმა გაშლილი მწარედ მოსთქვამდა.

— იესო ტკბილო, იესო! გაჰკიოდა დედა მარიამი და თავში ცემით მდუღარებას აფრქვევდა.

— იესო, სასოებაო ჩვენო, იესო! ბანს აძლევდნენ მარიამ მაგდალინელი და სხვა ქალნი.

— ვაიმე ურწმუნოსა და მშიშარასა! ქვითქითებდა პეტრე მოციქულიც და თეთრ თმებს იწეწდა.

ერთის მხრივ ტირილი და ოხვრა, ხოლო მეორეს მხრივ ფარისევლების სიცილ-ხარხარი საზარელ ელფერსა სდებდა მთელს ბრბოს, რომელიც გოლგოთისაკენ მიემართებოდა. დიდი და პატარა, მხცოვანი თუ ყმაწვილი სცდილობდა შერეოდა ამ ბრბოს, მხოლოდ მარტო იუდა განშორებოდა იმათ, გადმომდგარიყო ერთ მაღლობ ადგილას და იქიდგან ათვალიერებდა თავისს მიერ შექმნილ სურათსა. იუდა არცა სტიროდა, არც იცინოდა. გონება მისი დაჩლუნგებულიყო და თითქოს გამოქანდაკებულიაო, უძრავად იდგა ერთ ადგილას, თუმცა-კი გულზედ ჰკბენდა ნიავით მის ყურამდის მიტანილი მარიამის ტირილის ხმა, თვალს უჭრელებდა ჯალათთა მახვილის ბრიალი, წელსა სწყვეტდა იესოს მიერ ნატვირთი ჯვარი.

მიდიოდა წინ ბრბო, მიხმაურებდა. მოთქმა გოდებას უმატებდნენ იესოს ქირისუფალნიც... იუდა-კი ისევ იმ ადგილას გაქვავებულიყო.

—

—აგერ იოანე, აგერ პეტრე, იაკობი, მარიამ მაგდალინელა, მარიამ დედა იესოსი, რასა ჩოჩქოლებენ, რასა სტირიან? რატომ მე-კი იქ არა ვარ? როდის—როდის დაეკითხა იუდა თავისს თავს და საშინლად დაიღრიჯა.

— მე?.. მე იქ რა მინდა! ხა! ხა! ხა! გადიხარხარა იუდამ, წამოსასხამი გვერდზედ მოიგდო და თითქოს რაღაცა მოაგონდაო, სარტყელზედ ხელი იტაცა... ფულის ჩხრიალმა გამოაფხიზლა. ერთხელ კიდევ გადაჰხედა ბრბოს, უაზროდ ჩაიცინა და იერუსალიმისაკენ გაჰქანდა.

მთელი ქალაქი დაცარიელებულიყო. თავისუფლად მირბოდა იუდა ქუჩებზედ და მხოლოდ მაშინ შესდგა, როდესაც სოლომონის ტაძრის ეზოს მიაღწია. აქ იგი ჩამოჯდა ტაძრის კარიბჭეზედ და ქისა მოიხსნა, მერე ფულები კალთაში წამოიყარა და აუჩქარებლივ შეუდგა დათვლას.

— ერთი ვერცხლი, ორი, სამი, სთვლიდა იუდა და სახე თანდათან უნათლდებოდა, ღიმილი მოსდიოდა.

— იუდა, შეჩვენებულო, იუდა! საიდგანღაც მოესმა ისკარიოტელს და ხელი გაუშეშდა. იგი ფეთიანსავით ზეზე წამოვარდა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო. ძე ხორციელი არა სჩანდა მის გარშემო, მხოლოდ სოლომონის ტაძრის სვეტების ჩრდილი წამოხრილიყო აქა-იქ და გულ-გამგმირი სიჩუმე საიდუმლოებით ავსებდა იქაურობას. კარგა ხანს იდგა იუდა ერთ ადგილს, და რაკი აღარავინ დაუძახა, გული დაიმშვიდა და ისევ ფულების თვლას შეუდგა.

— ერთი ვერცხლი, ორი... სამი, დაიწყო ისევ თავიდგან.

— რას მერჩოდი იუდა, შე, შეჩვენებულო! გაისმა კიდე ვიღასიც ხმა.

— აჰ!... დაიგმინა იუდამ. შენა ხარ იესო, შენ მელაპარაკები? აქ რა გინდა?... ანგარიშ მიუცემლად, გიჟსავით წამოიძახა იუდამ და თმააბურძგნილი ერთ წერტილს დააცქერდა.

— თვალ-წინ წამოუდგა დასისხლიანებული იესო რომელიც საყვედურით შესცქეროდა. გახურებულ შამფურსავით უვლიდა იუდას გულღვიძლში იესოს თვალები.

— გა, გამშორდი! რას შემომყურებ?! დაიღრიალა იუდამ და განშორებულ ჩრდილისკენ გაექანა: სად მიხვალ... დაიცადე... მათქმევინე რამე? მე... მე გაგყიდე აი ამ ოცდა ათ ვერცხლად... კიდევ თავს არ მანებებ... კიდევ არ მასვენებ... ჰხედავ, როგორა ჰბზინავს?

— ამ სიტყვებით იუდამ კვლავ პარკიდგან ფული ხელზედ წამოიყარა.

— ვახ! სისხლი... სისხლიანი ყოფილა ეს ფული... ვაიმე, მეც სახლში ვარ, ირგვლივ სისხლის სუნი მდის... იესო, იესო, შენ რაღას დამდევ. მე ხომ დამნაშავე არა ვარ!.. ლუღლუღებდა იუდა.

— შეჩვენებული ხარ, შეჩვენებული!... ჩასძახოდა ვიღაცა.

— იხ! დაიყვირა იუდამ, წამოსასხამი ტანზედ შემოიხია, ფულით სავსე ქისა ტაძრის კედელს სტყორცნა და თმა წვერის გლეჯით მთატყეს მოედო.

—

ბევრ-ხანს ირბინა იუდამ ჭალებში უაზროდ, უგონებოდ, მერე ერთის წყაროს თავზე ჩამოჯდა და ღრმად ჩაფიქრდა. დრო გამოშვებით ფეთიანსავით აქეთ-იქით იხედებოდა და თითქოს ვიღაცისა ეშინიანო, ერთ ადგილას იჯუჯკებოდა და შემოხეულის წამოსასხამით თავ-პირს იმალავდა.

— იუდა!... ლუკლუკებდა მთის წყარო.

— იუდა!.. შეჰსისინებდა ნიავიც, და ეს საიდუმლო სისინი შიშის ზარსა ჰგვრიდა უბედურს იუდას.

— ოხ, ღმერთო! უეცრად წამოიძახა იუდამ, თვალები გადაატრიალა და ზეცას შეჰხედა, მაგრამ ცა-კი ვერ დაინახა, უზარ-მაზარი ვერხვის ხე, იქვე მის გვერდით გაბარჯღლუ-

---

*) სახ. ლუკასი XXII, 42.

ლიყო და მედიდურად აჰფარებოდა ლაჟვარდოვან ცასა. დიდხანს იყურებოდა ზეცისკენ ტვინ-ამღვრეული იუდა. ბოლოს ერთი შეჰკივლა და საზარლად დაიღრიალა:

— იესო, მანდ რა გინდა... ნუ; ნუ მიყურებ აგრე სასტიკად, იესო, მაცხოვარო, ჩემო, ნუ, ნუ მტანჯავ მე უბედურსა!.. ქვითინებდა იუდა და ხის ტოტებს თვალს არ აშორებდა.

— ღირსი არა ვარ შენდობისა? დიახ, არა ვარ, არა! ჰბუტბუტებდა იგი. რატომ?.. მაშ სიკვდილის ღირსი ხომ ვარ. ვერცხლი... დიდება... თავ-მოყვარეობა... ხა, ხა, ხა!.. გადიხარხარა ჯოჯოხეთურის ხმით იუდამ და თვალის დახამხამების უმალ ვერხვის ტოტზედ აცოცდა..........

. . . .

IV

აღსრულდა ყოველივე! ჯვარს აცვეს იესო და გოლგოთიდგან დაბრუნებული ფარისეველნი გულ-დამშვიდებით შეუდგნენ პასექის სამზადისსა, ბრბოც დაიშალა. მხოლოდ გოლგოთაზედ აღმართული სამი ჯვარი გულ-ჩათხრობით უსაყვედურებდა ადამიანთ და ყრუ, დაბურულ ჭილაში ვერხვზედ ჩამოკიდებული გვამი იუდასი—საცოდავად ჰქანაობდა. იქ, გოლგოთზედ, ქრისტეს მოსავნი ადიდებდნენ იმისს ძლიერებას და აქ, ჭალაში-კი, იუდას ლეშით დატვირთული ვერხვი გულნატკენად ბუტბუტებდა: „მე რაღათ წამბილწო ამ შეჩვენებულმაო?!“....

ია ეკალაძე

„ახ, ნეტავი არ მენახა-და“!..

(საალდგომო სურათი)

I

მაკოს რაც ცოდვები ჰქონდა, სულ მღვდელს განდო და ეზიარა კიდეც. მაკოს ცოდვები ეს იყო, რომ... უმაწვილი კაცები მოსწონდა და ერთი ვიღაცა უყვარდა კიდეც...

ეს ამბავი მთელმა უბანმა იცოდა და ეგონა, მაკო ეხლა-კი მორჯულდებაო, კეთილს გზას დაადგებაო...

მართლაც-და, მაკოც ისე მოუთმენლად მოელოდდა აღდგომას, თითქო თითონაც აღდგებაო...

— აღდგომას დალოცვილი დროც მოსდევს, ამბობდა ხოლმე მაკო: გაზაფხული დგება, ყველა ახლად იწყებს ცხოვრებას: რაც ძველად იყო, ის სულ ქრება და ხელ-მეორედ იშლება, ჰყვავდება, დრო მეც მოვუარო ჩემს თავს... მეც ამოვიდე წუმპედგან...

რაც თანდათან „აღდგომა“ ახლოვდებოდა მაკო უფრო და უფრო სიხარულს ეძლეოდა.

— ქმართან პირშავი ვარ, ეხლა-კი პირნათელი გავხდები, ოცნებობდა მაკო: ხალხის თვალში ავი ვარ, ეხლა ყველას შევუყვარდები. ეხლა არც ღვთისა მრცხვენიან და სულსაც ვაცხონებ...

არცა სტყუოდა მაკო, მხოლოდ ხან-და-ხან-კი ისე ამოიხრებდა ხოლმე, თითქოს ვიღაცა აბრკოლებს და იმისი ეშინიან, ეხათრებაო...

— ახ!.. ამოიკვნესა მაკომ: დიდის სიხარულით დავივიწყებდი სანდროს, მაგრამ... ის-კი დამთმობს?!. თავს დამანებებს?!.

II

ლიტანია ღამე. განათებულ-გაჩირაღდნებული საყდარი მლოცველებით სავსეა.

საცაა მღვდელი დაიძახებს „ქრისტე აღსდგა!“-ო და მლოცველებიც შესძახებენ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად“. ამას მოჰყვება გალობა-მილოცვა და კვერცხების ჭახა-ჭუხი...

რომელი საწყალ-დატაკი არ გინდა, რომ აქ არ იყოს. ისიც-კი, რომელსაც თავის დღეში არ გაუხარია, მოდის და მოსტირის თავისს თავ-ბედს, აქ არის და რაღაც დაიმედებული ჰლოცულობს... ისიც-კი, რომელსაც უწნევია გაჭირვებული ცხოვრება და შუბლი არ გაუხსნია, დღეს ჰხარობს და იმედით მოჰნუგეშებია გული.

მაკო სადაა? რას აკეთებს?..

მაკო სულ-განაბული სდგას საყდრის კუთხეში და... ლოცულობს.

— ქრისტე აღსდგა! დაიძახა მღვდელმა.

— ჭეშმარიტად! ერთ-ხმად შესძახა ხალხმა.

ასტყდა ზარის რეკა, მილოცვა-მოლოცვა და კვერცხების ჭახა-ჭუხი.

მაკოც დაიძრა, გადიწერა პირჯვარი და დააპირა სახლში წამოსვლა, მაგრამ... უეცრად შეკრთა და შეჩერდა: თვალწინ სანდრო ედგა...

სანდროს ეშმაკური თვალები რაღასაც ჰპირდებოდა, საიდღაც იწვევდა...

— ოჰ! ნეტა არ მენახა, სხვა არა მინდოდა რაო, ამოიოხრა მაკომ: ეს მაცდური ჩემს იმედებს სულ ერთიანად გააცრუებს... ოჰ! ნეტავი არ მენახა-და?!.

დუშელი ვანო

აღდგომა ქრისტესი

(რუსულიდგან)

ღამდებოდა. ჩამავალი მზე ცეცხლის ბურთსავით დაჰკიდებოდა ცის დასავალს და ცა და ქვეყანა წითლათ შეეღება. ქვეყანას ბინდ-ბუნდი ეპარებოდა, მაგრამ მაინც ძლიერ ცხელოდა. გალატა სამარეს დამსგავსებოდა, ისეთი მოწყენილობა და სიჩუმე ჰსუფევდა ამ უზარ მაზარს ქალაქში. ვიწრო და ოღრო-ჩოღრო ქუჩებში თუ ბაზარში ყველგან გულ-გამგმირი დუმილი ჰსუფევდა.

მარტო პროკონსულის სასახლეში ყველა მხიარულებას მისცემოდა. იმპერატორის ადრიანის მოადგილე მარკ-კლავდი ვერონიუსი დიდად მხიარული კაცი იყო: დღესა და ღამეს ლხინსა და მეჯლისში ატარებდა და თუ გალატაში ყოველთვის სიჩუმე და მოწყენილობა იყო ხოლმე, სამაგიეროდ პროკონსულის სასახლეში, რომელიც ბუმბერაზსავით ამართულიყო შუა ქალაქში და მედიდურად გადმოჰყურებდა გალატიის ქოხ-მახებს, მუდამ სიმღერის ხმა გაისმოდა.

დღეს ხომ უფრო დიდი მხიარულება იყო. კლავდიუსს ეწვია მცირე აზიის ელჩი, მეგობარი იმპერატორის ადრიანისა—ლუცინიუს ვერი. კლავდიუსმა ისეთი თვალ-საჩინო ნადიმი გაუმართა, რომ ძვირფასს სტუმარს სულ თავ-ბრუ დაესხა და, ყოველგვარ სიამოვნებით გამძღარი, მარტო სადილის დამთავრებასღა ელოდდა.

და აი, სადილის გათავების შემდეგ კლავდიუსი და ლუცინიუსი მშვენიერ მოლზედ წამოხართეძოებულნი, დაფიქრებულნი გასცქეროდნენ ცის ლაჟვარდოვან კამარას, რომელზედაც აქა-იქა ვარსკვლავები უკვე ამოციმციმდნენ. ლხინითა და კეიფით თავმობეზრებული მეგობრები, დიდხანს ხმა ამოუღებლად ისხდნენ და სტკბებოდნენ ბუნების სიდიადით.

—კლავდიუს, ერთი ეს მითხარი,— დაარღვია ხანგრძლივი სიჩუმე ვერიმ: რა მოსვლია ამ გალატას, რომ ასე მიწყნარებულია: კაცს ეგონება, მცხოვრებნი სულ ამოწყვეტილანო.

კლავდიუსი დაიღრიჯა.

— აგერა ეს ექვსი დღეა, რაც გალატელებმა ძაძა ჩაიცვეს... ყრუდ უპასუხა კლავდიუსმა.

— იქნებ იმიტომ, რომ შენ ყოველი აქაური ქალი ქმრიანი თუ გასათხოვარი, მონადირებული გყავს?! გაეხუმრა ლუცინიუსი.

— არა, მიზეზი უფრო სხვაა. გაზაფხულის წვიმა სადღაც მიმალულა, ქვეყანა სიცხით იწვის, დიდი სიმშილობა ჩამოვარდება.

— ჰხედავ რა მომხდარა! წამოიძახა ვერიმ, მაგრამ ისე უგუნებოდ-კი, რომ იოტის ოდენა თანაგრძნობაც არ გამოიხატებოდა იმის კილოში. რა დარდი ჰქონდა მდიდარსა და შეძლებულ რომაელს, თუ გალატას სიმშილი და საშინელი სიღარიბე ეწვეოდა. ის ერთისაგანაც და მეორესაგანაც დაზღვეული იყო.

— ხალხი ღელდება! დაუმატა ერთის წუთის შემდეგ კლავდიუსმა.

ეს ამბავი უფრო საყურადღებოდ ეჩვენა ვერის, იმან ზანტად წამოიწია და შეეკითხა:

— რადა?

— ქრისტიანებს სდებენ ყველაფრის ბრალს. ვერიმ ზიზღით გაიღიმა და ჩაილაპარაკა:

— სულელები! ნუთუ ქრისტიანების სისხლით უნდა მორწყონ გამომხმარი ყანები.

— არა, მაგრამ ძალას მატანდნენ, დასაჯე ქრისტიანებიო. ვერიმ შუბლი შეიკრა.

— ძალას გატანენ რომელია? განა ცოტა შუბები გაქვს და არ შეგიძლიან ასწავლო თხოვნა და არა ძალის დატანება? მერე სად... ლუცინიუსმა სიტყვა ვეღარ დაათავა.

ღამის სიჩუმე დაარღვია რაღაცა უცნაურმა ხმამ, იმდენად საოცარმა, რომ ვერი შეკრთა მოულოდნელობით და წამოიწია.

— რა არის?!

— ვერ იცანი! ღიმილით შეეკითხა მარკი: ბესტიარიის *) ლომები არიან. სისხლის სუნი მისდენიათ.

ვერის რიღასიც თქმა უნდოდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ქალაქის სამარებრივი მყუდროება შესცვალა გრგვინვამ, პირველში გაურკვეველმა, მაგრამ თან-და-თან უფრო გარკვეულმა და გაძლიერებულმა. ეს ხმა უფრო და უფრო იზრდებოდა და სასახლეს უახლოვდებოდა. ასე ეგონებოდა ადამიანს, რომ მკვდარი ქალაქი გაცოცხლდა, გაიღვიძა და ეხლა, ვითარცა აბობოქრებული ზღვა, სასახლეს უახლოვდებაო.

ვერის აღარაფერი უკითხავს: მიხვდა რა ხმაურობაც იყო. წარბებ შეჭმუხვნილი იქითკენ გაიყურებოდა, საიდგანაც ხმაურობა, ქუხილის მაგვარი გრგვინვა, მოისმოდა. უცბად შორს სინათლემ გაიელვა. სინათლე და ხალხი თან და თან მოახლოვდა. მალე პროკონსულის სასახლის წინ მოედანი ხალხით გაივსო. შეუწყვეტლივ მოისმოდა ყვირილი, წყევა-კრულვა და ლანძღვა...

— რაღას უყურებ, გარეკე აქედგან ეს ბრბო... ზანტად მიმართა ვერიმ.

— მეშინიან, ამბოხება არ დაიწყონ.... მიუგო კლავდიუსმა. შემდეგ კიბით ძირს ჩავიდა და პატარა ბაქანზედ შედგა, რომლის წინაც ხალხი ბობოქრობდა. კლავდიუსი დარწმუნდა, რომ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა: ეს ხალხი იმ კაცების კრებულს აღარაფრითა ჰგავდა, რომელიც რამდენისამე დღის წინად მივიდა იმასთან და მოწიწებით სთხოვდა ქრისტიანეთა დასჯას. ეხლა იმის წინ ბრბო იდგა აღელვებული, აბობოქრებული, გამხეცებული, რომელიც კი არა თხოულობდა, ემუქრებოდა.

როდესაც კლავდიუსი გამოჩნდა, სიჩუმე ჩამოვარდა. წინ მაღალის ტანის მოხუცი წამოდგა.

— ჩვენ შევიპყარით ისინი... დაიწყო მოხუცმა: ჰგრძნეულობდნენ, ჯადოქრობდნენ, იგონებდნენ ჯვარცმულის სიკვდილს... იმათი ჯადოქრობა დაგვღუპავს! მხეცებს მიეც შესაჭმელად.

მოხუცის თხოვნის კილო უფრო ბრძანებასა ჰგავდა. კლავდიუსმა თვალი გადაავლო ბრბოს. შენიშნა, რომ შუა ადგილას რამდენიმე ქრისტიანე იდგა; თეთრის ტანისამოსით მოსილნი ისინი ადვილად განირჩეოდნენ სხვათაგან. ყველაზედ წინ ახალგაზრდა ქალი იდგა, რომლის წყნარმა, მშვიდმა სახემ განსაკუთრებით მიიქცია მისი ყურადღება. კლავდიუსმა იცნო ახალგაზრდა ქალი: იგი ღვიძლი ქალიშვილი იყო მოხუცისა, რომელიც ქრისტიანების წამებას ეხვეწებოდა.

— ეგ ხომ შენი ქალიშვილია!— უთხრა მარკმა მოხუცს და თან ხელი გაიწოდა ყმაწვილის ქალისაკენ.

— მე ქალიშვილი არა მყავს!— მტკიცედ წამოიძახა მოხუცმა: ეგეც სხვებთან ერთად ჰგრძნეულობს. მოგვაშორე თავიდგან და გვიხსენ სიმშილისა და სიკვდილისაგან.

მოხუცს მთელმა ბრბომ მისცა ბანი:

— გვიხსენ სიმშილისა და სიკვდილისაგან!... დასაჯე ქრისტიანენი!.

კლავდიუსმა ხელ-ახლა გადაავლო თვალი ბრბოს. გონების თვალით დაითვალა თავის ჯარის-კაცები და დარწმუნდა, რომ უნდა დამორჩილებულიყო: ჯარი ამ ბრბოსთან ვერაფერს გააწყობდა. ბრბო-კი თავისას არ იშლიდა:

— დააგლეჯინე მხეცებს! დეე ჯვარცმულმა, რომელიც, მაგათის სიტყვით, მკვდრეთით აღსდგა, იხსნას ეგენი სიკვდილისაგან... იმის სიკვდილს დღესასწაულობენ... ემზადებიან, რომ ორის დღის შემდეგ იმის აღდგომა იდღესასწაულონ... დეე მაგათ დღესასწაულში ლომებმა და ფოცხვერებმაც მიიღონ მონაწილეობა.

კლავდიუსმა თავი ძირს დახარა. ბრბო ქრისტიანების მსაჯულად გამხდარიყო და ეხლა იმათ ჯალათობასაც კისრულობდა. პროკონსულმა ხელი აიშვირა და წარმოსთქვა:

— იყოს ნება თქვენი!

—

გავიდა ორი დღე. ამფითეატრი ხალხით იყო სავსე. მზის გახურებული სხივები ზედ დაჰნათოდა ასპარეზს. ყველას, მოხუცებულსა და ახალგაზრდას, ქალსა და კაცს, სახეზედ მოუთმენლობა ეტყობოდა. ყველას თვალები კარებისაკენ მიეპყრო, საიდგანაც უნდა გამოსულიყვნენ ქრისტიანენი, რომელთა სისხლიც ბრბოსა სწყუროდა. პროკონსულს-ღა ელოდნენ.

აი, ისიც მოვიდა და ლუცინიუს ვერისა და თავისს მეგობრებთან ერთად ლოჟაში შევიდა. კლავდიუსმა ხელით ანიშნა, მოაჯირის კარები გაიღო და ასპარეზზედ მსჯავრ-დადებული ქრისტიანენი გამოვიდნენ. ზოგნი მოდიოდნენ და თან შიშით აქეთ-იქით იყურებოდნენ, ზოგნი-კი გაბედვით ადგამდნენ ნაბიჯს, სახე ნათელი ჰქონდათ და თვალებში ისეთი სიხარული აღბეჭდოდათ, თითქოს სასიკვდილოდ-კი არა, სანადიმოდ მიდიანო. ყველაზედ წინ ის ახალგაზრდა ქალი მიდიოდა, რომელსაც ორის დღის წინად კლავდიუსმა ყურადღება მიაქცია. კლავდიუსმა ეხლაც იცნო...

— აი, ხომ ჰხედავ იმ ქალს... ნელის ხმით უთხრა ვერის: ლამაზი არ არის, მაგრამ იმის სახეს რაღაც მიმზიდველი ძალა აქვს. შეხედე, რა მტკიცე ნაბიჯით მოდის...

ამ დროს ბესტიარიის მოაჯირი გააღეს. მოედანზედ გადმოხტა მთელი ხროვა ლომებისა, ვეფხვებისა და ფოცხვერებისა. რამდენისამე დღის მშიერ-მწყურვალნი მხეცნი ძალზედ ჩასისხლიანებულის თვალებით მიუახლოვდნენ ქრისტიანეთ, რომელთაც ამ დროს აღდგომის საგალობელი დაიწყეს.

„აღსდგა ქრისტე და მთელმა ქვეყანამ იხილა დიდება მისი! ოსანნა! დიდება მხსნელსა ქვეყნისასა, დიდება მკვდრეთით აღდგომილსა და სიკვდილის დამთრგუნველსა!“

ამავე დროს ბრბო ჰღრიალებდა:

— დეე თქვენმა მკვდრეთით აღმდგარმა გიხსნათ. აბა დასძლიოს ეგ უდაბნოს მეფენი, რომელნიც ნაკუწ-ნაკუწად გაქცევენ!..

ახალგაზრდა ქალმა გაიგონა ეს სიტყვები, შეტოკდა, შეიძრა, იმის უმანკო გულმა რაღაცა იგრძნო, თითქოს შთააგონეს რამეო. ერთის წუთის შემდეგ მუხლი მოიდრიკა და უეცრად გაბრწყინვებული თვალები გაცრიაგებულ ცისაკენ აღაპყრო.

— ღმერთო დიდებულო!—შეევედრა იგი! შენ, რომელიც მკვდრეთით აღსდეგ... შენ, რომელიც მწამხარ და გაღიარებ... შენ, რომლის მკვდრეთით აღდგომასაც ვდღესასწაულობთ დღეს... შეარცხვინე ურწმუნონი, გვიხსენ სიკვდილისაგან! იმიტომ კი არა, რომ სიკვდილისა გვეშინოდეს, არა: გამოაჩინე ის ძალა, რომელიც ჩვენ უკვე ვუწყით, რათა სხვებმაც გიცნონ და გაიგონ.

ქალმა, ამ ლოცვაში გართულმა, ვერც-კი გაიგო, როგორ მიუახლოვდა ერთი უზარ-მაზარი ლომი. აგერ ლომი უკვე დაიხარა და მოემზადა გადასახტომად, მაგრამ... არ გადამხტარა.

რაღაც არა-ჩვეულებრივი მოხდა. განცვიფრებულმა ხალხმა დაინახა, რომ ლომი მიწაზედ დაეშვა და ასე გაშეშდა, თითქოს განძრევისა ეშინიაო... სხვა მხეცებიც აღარ დაძრულან. თითქოს ძალა წაერთვათო, ზოგი ზანტად გაწვა მიწაზედ, ზოგიც თავ-დაღუნული ბესტიარისაკენ გაეშურა. ვერავინ ვერ მიხვდა რა მოხდა, ვერავინ ვერ დაინახა, რომ ქრისტეანეთა და ლომებს შუა ჩამოდგა ნათელი სახე ქვეყნის მხსნელისა, რომელიც ლმობიერად დაჰყურებდა იმის წინაშე დაჩოქილ ქალს.

— დედაკაცო! მე მეძებ?—მოისმა იმისი ტკბილი ხმა.

— შენ, უფალო... შენ გევედრები... მიუგო ქალმა.

— სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნოს შენ!..

ქრისტემ ზე აღაპყრა ხელი, აკურთხა სასიკვდილოდ განმზადებული ქრისტიანენი და უჩინარ იქმნა. განცვიფრებული ბრბო-კი რაღაც გაუგებარმა ძალამ მოიცვა. ვეღარც ერთმა ვეღარ გაბედა ხმის ამოღება, დაძახება იმისა, რომ დასაჯეთ ქრისტიანენიო, პირიქით ყველა ეშურებოდა ამფითეატრიდგან გასვლას.

ყველა ჰგრძნობდა, რომ რაღაც დიადი მოხდა, თუმცა არ უწყოდა, სახელდობრ, რა...

—ე—

---

*) ბესტიარიას ძველად რომაელნი იმ ასპარეზს უწოდებდნენ, რომელზედაც ტყვე ქრისტიანებს მხეცებთან აბრძოლებდნენ ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღდგომის კვერცხი.

წითელ კვერცხების ხმარება აღდგომის დღესასწაულებში და ამ კვერცხებით ერთმანეთის მილოცვა ჩვეულებად არის მიღებული თითქმის ყველა საქრისტიანო ქვეყანაში. ამ ჩვეულებას მისდევენ როგორც მართლ-მადიდებელნი, ისე კათოლიკენი და სხვა ქრისტიანენი. დღემდის დაწვრილებით ვერ გამოურკვევიათ, საიდგან წარმოსდგა და როგორ გაჩნდა ეს ჩვეულება. ზოგი მკვლევარი ამბობს, რომ იგი ჩვეულება ქრისტეს წინადაც არსებობდაო, ზოგი-კი — შემდეგ გაჩნდაო. მრავალი მკვლევარი ამ ჩვეულების დასაწყისს ეგვიპტესა და საბერძნეთის მითოლოგიაში ჰხედავს. ამბობენ იმასაც, რომ კვერცხების ხმარება აღდგომის დღესასწაულებში ქრისტიანებმა ებრაელთაგან გადმოიღესო. ებრაელებს ჩვეულებად ჰქონდათ და ეხლაც აქვთ თავიანთ აღდგომის (პასქის) დღესასწაულის დროს შემწვარ კვერცხებსა სჭამენ ხოლმე. ასეთივე ჩვეულება ჰქონდათ ძველ რომაელებს, მხოლოდ შემწვარ კვერცხებს უფრო დიდს დღესასწაულში სადილ წინად შეექცეოდნენ ხოლმე. განსაკუთრებულ დიდად იყო გავრცელებული კვერცხების ხმარება ვაკხის დღესასწაულის დროს. ძველ ეგვიპტეში არსებობდა მითი „სამსოფლიო კვერცხის" შესახებ. მითის თქმით, დედამიწა ამ კვერცხისაგან გაჩნდა. ძველად, ქრისტეს დაბადებამდე, ზოგგან ჩვეულებად იყო აგრეთვე, როდესაც წარჩინებულ კაცთან მივიდოდა ვინმე, მისალმების ნიშნად კვერცხს მისთავაზებდა ხოლმე.

მართლ-მადიდებელი ეკკლესია წითელის კვერცხის შემოღებას მოციქულთა სწორს მარიამ მაგდალინელს აწერს. როდესაც, ქრისტეს ამაღლების შემდეგ, მარიამ მაგდალინელი რომში წასულა ქრისტიანობის საქადაგებლად, იქ პირველად იმპერატორ ტიბერიუსთან შესულა, წითელი კვერცხი უთავაზებია იმპერატორისათვის და თან უთქვამს: „ქრისტე აღსდგაო". ამ ამბავს, სხვათა შორის, მოგვითხრობს ერთი ძველი, მე-X საუკუნის, ხელთ-ნაწერი, რომელიც თესალონიკის მახლობლად წმ. ანასტასიას მონასტერშია დაცული. ეს ხელთ-ნაწერი შეიცავს საეკკლესიო ტიბიკონს. ზემოხსენებული ამბავი ტიბიკონის ბოლოშია მოთხრობილი, იქვეა მოყვანილი განსაკუთრებული ლოცვაც ამ ამბის გამო. არის მეორე ხელთ-ნაწერიც მე-XIII საუკუნისა. ხელთნაწერში ნათქვამია, რომ ის ბერი, რომელიც აღდგომა დღეს, წითელს კვერცხს არ შესჭამს, უნდა დაისაჯოსო: ეს ჩვეულება მოციქულთ გვიანდერძეს და იმის დარღვევა დიდი დანაშაულობაა.

მარიამ მაგდალინელის მაგალითს მიჰბაძეს პირველმა ქრისტიანებმა: შეხვედრის დროს ერთმანეთს წითელის კვერცხებით მიესალმებოდნენ ხოლმე. აღდგომა დღეს წითელის კვერცხის ხმარება რომ ძველადგანვე არსებობს, სხვათა შორის,იმითაც მტკიცდება,რომ ეს ჩვეულება ისეთ ეკკლესიებშიაც არის მიღებული რომელნიც ადრევე განცალკევდნენ და განშორდნენ დანარჩენ ეკკლესიას. იგი ჩვეულება არსებობს ქრისტიანობის გავრცელების პირველ დღიდგანვე საქართველოსა, ბოლგარიასა, ალბანიასა, ტრანსილვანიასა, სერბიასა და სხვაგან. ძველადგანვე მიღებულია ეს ჩვეულება სომეხთა, უნიატთა, მარონიტთა, იაკობინთა ეკკლესიებში, აგრეთვე იმ ქრისტიანეთა შორის, რომელნიც სირიასა და ლივანის მთაზედ სცხოვრობდნენ. რუსეთში ეს ჩვეულება ქრისტიანობასთან ერთად საბერძნეთიდგან შევიდა.

კვერცხების წითლად შეღებას დიდი სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს. წითელი კვერცხი აღნიშნავს მაცხოვრის სისხლს, რომელიც დაღვრილ იქმნა კაცობრიობის გამოსახსნელად.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მთელი საქრისტიანო ძველადგანვე დიდის პატივითა და მოწიწებით ეპყრობა იმ ნივთებს, რომელიც მაცხოვრის ჯვარცმის დროს უხმარიათ. დღემდის ამ ნივთებიდგან დარჩენილია და შენახული ეკლის გვირგვინი, რომელიც ჯვარცმის წინად პილატის პრეტორიაში რომის მეომართ მაცხოვარს დაადგეს თავზედ, ჯვარზედ მიკრული ფიცარი წარწერითურთ და რამდენიმე ლურსმანი, რომლითაც მაცხოვრის გვამი მიაკრეს ჯვარს.

ეკლის გვირგვინი ამ ჟამად დაცულია პარიჟში, წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიაში. გვირგვინი გაკეთებულია ერთგვარის ეკლიანის მცენარის კონებისაგან. ამ მცენარეს ძალიან წააგავს პარიჟის საბოტანიკო ბაღში გაშენებული მცენარე, რომელიც ცხელის ქვეყნიდგან არის გამოტანილი.

ფიცარი ზედ-წარწერით მთლიანად არ შენახულა, მხოლოდ ნატეხია ამ ფიცრისა რომში წმ. ჯვარის ეკკლესიაში. ეს ფიცრის ნატეხი დაღრღნილია ჭიებისაგან. რა ხისაგან არის გაკეთებული ფიცარი, ძნელად გასაგებია, ან მუხისა უნდა იყოს და ან ალვის-ხისა. სიგრძე ფიცრისა 235 მილიმეტრია, სიმაღლე 130 მილიმეტრი. წარწერა თუმცა წაშლილია, მაგრამ ორის თუ სამის სიტყვის ამოკითხვა კიდევ შეიძლება. ეს სიტყვები წითელის ასოებით ბერძნულსა და ლათინურს ენებზედ სწერია.

დაჭეშმარიტებით არ იციან რამდენის ლურსმით იყო მიკრული ჯვარზედ მაცხოვარი. ერთის გადმოცემის სიტყვით, ჯვარცმის დროს სამი ლურსმანი იხმარეს: ერთით ორივე ფეხი მიაკრეს, ხოლო დანარჩენის ორით—ხელები. მეორე გადმოცემა ამბობს, რომ ოთხი ლურსმანი იქმნა ხმარებულიო: ორი ფეხებისა და ორიც ხელებისათვისაო. როგორც ეს გადმოცემა მოგვითხრობს, მე-IV საუკუნეში, დედოფალს ელენეს წაუღია იერუსალიმიდგან კონსტანტინეპოლში წმ. ჯვრის ნაწილი და ოთხივე ლურსმანი. ერთი ლურსმანი ზღვაში გადაუგდია ზღვის დასაშოშმინებლად, როდესაც იგი აღელვებული და გემს დაღუპვას უქადდა თურმე; მეორე ლურსმით იმპერატორს კონსტანტინე დიდს თავისს მუზარადი დაუმშვენებია,ხოლო მესამე—ცხენის აღვირისათვის გაუკეთებია. ამ მუზარადსა და აღვირს დღემდის არ მოუღწევია. მეოთხე ლურსმანი, როგორც იგივე გარდმოცემა მოგვითხრობს, საბერძნეთის იმპერატორს საქართველოს მეფის მირიანისათვის უჩუქებია. მე-XVII საუკუნეში საქართველოს მეფეს არჩილს მოსკოვში გაუგზავნია. ამ ჟამად ლურსმანი მოსკოვის ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიაში ოქროს კიდობანშია დაცული. იგი რკინისაგან არის გაკეთებული და სიგრძე 1¼ გოჯი ექმნება.

ახალი ამბავი

⁂ საქართველოს ეგზარხოსის ნება-რთვით სოფ. ზემო-ავჭალის ეკკლესიასთან დაარსებულ იქმნა საეკკლესიო-სამრევლო სამზრუნველო, რომლის უმთავრესი საგანიც იქმნება ამ სოფელში ახალის ეკკლესიისა და სკოლის აგება. სამზრუნველომ 11 აპრილიდგან დაიწყო მოქმედება.

⁂ ტფილისის გუბერნიის გამგემ შუამდგომლობა აღძრა უმაღლესს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას საერობო თანხიდგან 30,000 მანეთი ტფილისიდგან სოღანლუღსა და კოდზედ თეთრწყარომდე გზის გასაკეთებლად და მდ. ალგეთზედ ხიდის გასამართავად.

⁂ ქუთაისის მაზრის ნახახულევის სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოების მცხოვრებნი განთავისუფლებულ იქმნენ წყალტუბის საზოგადოების გზის შეკეთების ბეგარისაგან, რადგანაც ამ ჟამად მინდორში თითოანც ბევრი სამუშაო აქვთ.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა დაამტკიცა შემდეგ სოფლების მცხოვრებთა განაჩენი სოფ. კეხიჯვარში სკოლის დაარსების შესახებ: კინწვისისა, სანებელისა, ვედრისისა, კეხიჯვარისა, ზემო და ქვემო აგრისა. განაჩენით ყველა ამ სოფლის მცხოვრებთ განზრახულ სკოლის სასარგებლოდ წელიწადში 290 მანეთი უნდა გარდაიხადონ ხოლმე.

⁂ 14 აპრილს საზოგადო კრება ჰქონდათ „კარგის ჯიშის ცხენების მომშენებელ საზოგადოების" წევრებს. კრებამ აარჩია სამის კომისის წევრები. ერთმა კომისიამ მომავალ დღის საქმეები უნდა განაგოს, მეორემ—განზრახულ ცხენების გამოფენისა და იარმუკისა, ხოლო მესამემ—წარსულის წლის ანგარიშის რევიზია უნდა მოახდინოს. პირველ კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. რ. გ. წერეთელი, თავ. ა. დ. ჭავჭავაძე, შტ.-როტ. ბ. ს. ესაძე, გ. ე. შმიდტი, ზ. ა. ზაკუსოვი, თავ. ტრუბეცკოი ბ. ს. შერემეტევი, თავ. კ. ა. თუმანოვი, ბარონი მეიენდორფი, ტაუჩელოვი და კ. მ. ენიკოლოფოვი.

⁂ როგორც გაზ. „კავ."-ი იუწყება, მთავრობამ ნება დართო კავკასიაში საზღვარ-გარეთიდგან უბაჟოდ შემოტანილ იქმნას გოგირდი, შაბიამანი და სხვა და სხვა მანქანა ვენახის წამლობისათვის საჭირო,იმ პირობით-კი, რომ ეს ნივთები და საქონელი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა, სოფლის მეურნეთა და კერძო საწყობების საჭიროებისათვის იქმნას ხოლმე დაბარებული.

⁂ როგორც „ახ. მიმ."-ს ატყობინებენ, გორის მაზრის უფროსს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ქ. გორში ბაზრობისათვის განსაკუთრებული დღეები იქმნას დანიშნული და ბაზარს გორში ფართო მოედანი დაეთმოს, ვიდრე დღესა აქვს დათმობილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 აპრილი

პარიჟი. კიუნიემ, განაგრძო-რა თავისი ჩვენება, მოიყვანა ერთი მოხელე კაცის საყურადღებო წერილი, 1895 წლის 17 იანვარს მიწერილი შვარცკოპენთან, რომელშიაც ავტორი გაკვრით შეეხება-რა პერიეს გადადგომას სამსახურიდგან, დასძენს: „დრეიფუსის შესახებ დამშვიდებულნი ვართ. დასასრულ რწმუნდებიან, რომ მე კარგად მოვიქეცი". მოწმეს სხვა საბუთის ქაღალდებიც მოჰყავს და დარწმუნებულია, რომ დრეიფუსი დამნაშავეა იმ შემთხვევაშიაც, თუ გინდ ბორდეროს ავტორი არ გამოდგეს ის.

15 აპრილი

ბუდაპეშტი. წარმომადგენელთა პალატა. ფრანც მაიორის შეკითხვის გამო, აზრათ აქვს თუ არა გარეშე საქმეთა მინისტრს, იჯარით აიღოს ადგილი ჩინეთში ზღვის პირათ, ანუ ჯერ ხომ არ მომხდარა ეს საქმეო, სელმა სთქვა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი ამ ჟამად არ ფიქრობს ადგილის შეძენას ჩინეთში, და რომ ეს საქმე ჯერ არ მომხდარა, ამის შესახებ ლაპარაკიც მეტიაო. მაიორის მიერ გამოთქმული სურვილი ვაჭრობის გავრცელებისა და კიდევ იმის შესახებ, რომ ვენგრიამაც მონაწილეობა მიიღოს შორეულ აღმოსავლეთის საქმეებში, ცხადია, ჩვენს სასურველს საგანს უნდა შეადგენდეს; მაგრამ მთავრობას შეუძლიან მხოლოდ წარმართოს ეს საქმე, და აგრეთვე განამხნეოს და მფარველობა გაუწიოს სავაჭრო ინტერესებს, ხოლო თითონ ვაჭრების საქმეა, ბაზარი მოიპოვონ და ახალშენები დააარსონო. სამწუხაროდ, უნგრეთს აკლია მოთავე კაცები. ისიც მართალია, რომ სამხედრო ფლოტს არ შესწევს ამისათვის საკმაო ძალა, მაგრამ ამ საქმის ასე თუ ისე გარდაწყვეტა შეუძლიან ფინანსიურ მოსაზრებასო. იმ შემთხვევაში, უნგრეთის ვაჭრები თუ გამოიჩენენ მხნეობას აღებ-მიცემობასა და საახალშენო საქმეებში, გარეშე საქმეთა მინისტრი, მთავრობასთან შეთანხმებით, უეჭველია მფარველობას არ მოაკლებსო (საერთო გახურებული ტაშის ცემაა).

15 აპრილი

კოპენჰაგენი. დანიის „სამშვიდობო კავშირი" თავისს ადრესში, რომელიც მეფეს მიართვა და რომელზედაც 286,000 კაცს უწერია ხელი, სთხოვს მეფეს,—მიანდოს დანიის დელეგატებს, რომელნიც კონფერენციაზე გაიგზავნებიან, მოახერხონ როგორმე, რომ დანია სამუდამოდ ხელ-უხლებელ სახელმწიფოდ იქმნას აღიარებული, პირობა დაიდოს, სამედიატორო სამართლით გათავდეს ყოველივე უთანხმოება სხვა ქვეყნებთან და შემცირებულ იქმნას უზომო შეიარაღება ჯარისაო. საბჭოს პრეზიდენტმა ამ ადრესზე დასტური დართო, მხოლოდ გამორიცხა მუხლი დანიის ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც არ შეიძლება გარდაეცეს განსახილველად გაგის კონფერენციასო.

ხაბაროვსკი. ჩინეთის ქვრივი დედოფალი ჩრდილოეთ ჩინეთის ჯარებს დაათვალიერებს. დათვალიერების დროს 200,000 ჯარის-კაცი იქნება. დათვალიერება მოხდება ივნისში, პეკინში, ეგრეთ წოდებულს სანადირო პარკში.

ლონდონი. აპიიდგან იუწყებიან, რომ მატააფისა და ტანუს მომხრეთა შორის ბრძოლა ასტყდა და 20 კაცამდე მოკლულ და დაჭრილ იქმნაო; მებრძოლთა შორის არა ყოფილა არც ერთი ევროპიელიო.

ბერლინი. გერმანიის ოფიციალური დეპეშა აპიიდგან იუწყება, რომ 17 აპრილს, აპიიდგან სამი მილის მანძილზე, საქმემ შეტაკებამდე მიახწია, რომელიც ტანუს მომხრეთა უკან დახევით დამთავრდაო. დაიხოცა და დაიჭრა 70 კაცამდე. არც ერთი ევროპიელი არ დაშავებულა. ინგლისის სათადარიგო რაზმს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

16 აპრილი

სოხუმი. სოფელი ვლადიმიროვკა მდინარე კოდორმა წალეკა. ხეხილები და ვაზები სულ ერთიანად დაიღუპა. დიდი ზარალი მოუვიდა ხალხს. ზოგან ქუჩებს ცხენები ცურვით გადადიოდნენ. სოფლელნი იძულებულ იქმნენ მაღლობებზედ გადასახლებულიყვნენ. საშველად ორი როტაა ჯარისა მოწვეული. წყალი კლებულობს.

ნიუ იორკი. მისსურიის შტატის ქალაქად კირკვილლის აღმოსავლეთი ნაწილი საშინელმა ქარმა დაანგრია, დაიქცა 500 სახლი, რომელთა ქვე 25 კაცი დაიმარხა. ამბობენ, მოკლულთა რიცხვი 60-მდე და დაშავებულთა 1000-მდე იქნებაო.

პარიჟი. მინისტრთა საბჭოში ლებრემ განაცხადა, რომ გამოძიება იქმნება დანიშნული საკასსაციო პალატის წინაშე პოლეოლოგის ჩვენებით გამომჟღავნებულ ამბების გამოსარკვევადო.

„Figaro"-ში დაბეჭდილია ესტერგაზის ჩვენება, რომელიც უკვე გაიმისსავე მოქვეყნებული იყო წერილებში.

„Gazette des Tribunaux"-ი ამბობს, მართალია ის ხმა, რომ ხვალ საკასსაციო პალატა დიუ პატისა და კიუინიეს ჩამოართმევს ჩვენებასაო.

„Echo de Paris" ი დარწმუნებით ამბობს, რომ როდესაც დიუ-პატისა და კიუინიეს ჩვენებას ჩამოართმევენ, ორივეს ერთმანეთს პირში წაუყენებენო.

გასართობი

„საქართველოს მოქალაქეთა სხვა-დასხვა შემთხვევით ფათერაკთან დამხნელ საზოგადოების" წესდება.

მუხ. 1. ის ახალგაზრდა, გასათხოვარი ქალი, რომელიც ჟუჟუნა თვალებით ჰკმირავს ყმაწვილ კაცთ, დაისჯება მომრიგებელსასამართლოთა სასჯელთა წესდების მე-117 მუხ. ძალით, ვითარცა „აღკრძალულ იარაღის მხმარებელი".

მუხ. 2. ახალგაზრდა, გასათხოვარი ქალი, რომელიც კეკელაობა-კოპწიაობა-კეკლუცობით სცდილობს თავისს ბადეში გააბას საქმრო, დასჯილ იქმნება იმავე წესდების მე-57 მუხ. ძალით, ვითარცა „აღკრძალულის იარაღით მონადირე ანუ მოთევზავე".

მუხ. 3. ახალგაზრდა, გასათხოვარი ქალი, რომელიც სცდილობს მოტყუებით აღუნთოს გულში სიყვარული ყმაწვილს კაცს, საშიშს დანაშაულსა სჩადის, დანაშაულს, რომლისთვისაც შეიძლება დასჯილ იქმნას სასჯელთა დებულების მე-1610 მუხ. ძალით, ვითარცა „ცეცხლის წაკიდების მომწადინებელი".

მუხ. 4. ქველ-მომქმედნი ქალნი, რომელნიც ხან ერთს ედრიჯებიან რისამე შეწირვასა და ხან მეორეს, დასჯილ იქმნებიან სასჯელთა წესდების მე 49 მუხ. ძალით, ვითარცა „მოწყალების მათხოვარნი სიზარმაცისა და უქმად ცხოვრებას დაჩვევისა გამო".

მუხ. 5. ყმაწვილი კაცი, რომელიც ახალგაზრდა, გასათხოვარს ქალს ეარშიყება უსაქმურობისა გამო, დასჯილ იქმნება მე-129 მუხ. ძალით, ვითარცა ისეთის „საქციელისათვის, რომელიც დანაშაულს არ შეადგენს, მაგრამ აშკარად გაუფრთხილებლიკია".

მუხ. 6. ისინი, რომელნიც სხვის ცოლებს დასტრფიალებენ წარმატებით, დასჯილ იქმნებიან სასჯელთა დებულების მე-145 მუხ. ძალით, ვითარცა „სხვისის ქონებით თვით-ნებით მოსარგებლენი".

მუხ. 7. ახალგაზრდა,გასათხოვარი ქალი, რომელიც სილამაზისათვის ბამბას იკეთებს სადაც ჯერ არა არს და ლოყებს ილესავს, დასჯილ იქმნება სასჯელთა წესდების მე-68 მუხ. ძალით, ვითარცა „ჯეროვან ნებადაურთველად შენობის გარედგან გარდამკეთებელი".

განცხადებანი

„პატარა კახი"

ნამდვილ კახურ ღვინის გასაცნობად გაიხსნა ახლად საწყობი „პატარა კახი" კუკიაში, პირველ თუმანიანთ ქუჩაზედ, ნ. ვ. მთვარელიშვილის სახლ ქვეშ, № 18. ბოთლი 15 კ., ხოლო ვედრო 2 მანეთიდამ დაწყებული. (5—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Апрѣля 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.